

# საქართველოს ანტიკრიზისული გეგმა (წინასწარი ვერსია)



ანტიკრიზისული  
პლანგეგმა

იანვარი, 2026

## **სარჩევი**

<b>პრეამბულა.....</b>	<b>2</b>
<b>საკონსტიტუციო ცვლილებების ძირითადი მიმართულებები .....</b>	<b>4</b>
<b>საინფორმაციო უსაფრთხოება, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა და დემოკრატიული მედეგობა .....</b>	<b>7</b>
<b>საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.....</b>	<b>11</b>
<b>მართლმსაჯულებისა და პროკურატურის სისტემის რეფორმა .....</b>	<b>14</b>
<b>ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერება.....</b>	<b>19</b>
<b>დეოლიგარქიზაცია .....</b>	<b>23</b>
<b>ადამიანის უფლებები .....</b>	<b>27</b>
<b>მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.....</b>	<b>31</b>

## პრეამბულა

### ანტიკრიზისული დემოკრატიული გარდამავალი ეტაპის ხედვა

საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური და ინსტიტუციური კრიზისი არ წარმოადგენს ერთჯერად ან ცალკეულ პოლიტიკურ ჩავარდნას. იგი არის **ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი სისტემური პრობლემების შედეგი**, რომლის ფარგლებში ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს მიტაცებას, ძალაუფლების კონცენტრაციას ვიწრო პოლიტიკური ჯგუფების ხელში და დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებას ფასადური ფორმით.

ამ პროცესმა გამოიწვია:

- დემოკრატიული მმართველობის შინაარსობრივი დაცლა;
- კონსტიტუციური მექანიზმების ფორმალიზაცია რეალური კონტროლის გარეშე;
- მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობიდან ეტაპობრივი გამორიცხვა;
- ნდობის დაკარგვა როგორც პოლიტიკური პარტიების, ისე სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

ამ ვითარებაში აშკარაა, რომ **ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაცია ვერ განხორციელდება არსებული პარტიული პოლიტიკის ჩარჩოში**. არსებული სისტემა თავად არის პრობლემის ნაწილი და ვერ გახდება მისი გადაჭრის ინსტრუმენტი.

### ანტიკრიზისული გადაწყვეტის საფუძველი

წინამდებარე ანტიკრიზისული გეგმა ეფუძნება პრინციპულ დაშვებას, რომ **რეალური სისტემური ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ დროებითი, ტექნიკური და პოლიტიკურად მიუკერძოებელი მმართველობის პირობებში**, რომლის ერთადერთი მანდატი იქნება დემოკრატიული ინსტიტუტების გადარჩენა, გაძლიერება და რეფორმირება.

ამ მიზნით შემოთავაზებულია:

- **დროებითი ტექნიკური მთავრობის ფორმირება**  
არაუმეტეს **ორი წლის ვადით**, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის მიმართ იარსებებს მკაფიო და დადასტურებული სახალხო მოთხოვნა.
- **მმართველი გუნდის დაკომპლექტება დამოუკიდებელი, პროფესიონალი და მიუკერძოებელი ექსპერტებით**, რომლებიც:
  - არ წარმოადგენენ მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს;
  - არ მონაწილეობენ ძალაუფლების გადანაწილებაში პარტიული ინტერესებით;
  - იღებენ პასუხისმგებლობას მხოლოდ ანტიკრიზისული გეგმის განხორციელებაზე.

## მოქალაქეთა ჩართულობის მოდელი და ლეგიტიმაცია

ანტიკრიზისული გეგმის ლეგიტიმაცია ეფუძნება **პირდაპირ სახალხო ჩართულობას**, როგორც შინაარსობრივ, ისე პროცესულ დონეზე.

### 1. გეგმის წინასწარი ვერსია

ანტიკრიზისული გეგმის საწყის ვერსიაზე მუშაობდა **ოცდაათამდე დამოუკიდებელი სპეციალისტი** სხვადასხვა დარგიდან. აღნიშნული ვერსია უკვე წარდგენილია საზოგადოებისთვის და წარმოადგენს ღია დოკუმენტს.

### 2. შემდეგი ეტაპი - ინკლუზიური კონსულტაციები

წინამდებარე დოკუმენტის შემდგომი დახვეწა განხორციელდება:

- თემატური საჯარო შეხვედრების გზით;
- თითოეულ მიმართულებაზე ცალკე განხილვებით;
- რეგიონებში შეხვედრების ორგანიზებით;
- პროფესიული, აკადემიური და სამოქალაქო ჯგუფების ჩართულობით.

### 3. საბოლოო გეგმის ფორმირება

საბოლოო ანტიკრიზისული გეგმა ჩამოყალიბდება **ღია, გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის შედეგად**, რაც უზრუნველყოფს მის საზოგადოებრივ მხარდაჭერას და პრაქტიკულ სიცოცხლისუნარიანობას.

## კანდიდატების შერჩევა და მხარდაჭერის მექანიზმი

- დროებითი ტექნიკური მთავრობის კანდიდატების **დასახელება მოხდება საზოგადოების მიერ**;
- როგორც **ანტიკრიზისულ გეგმაზე**, ისე **კანდიდატებზე მხარდაჭერა დაფიქსირდება სახალხო კენჭისყრის გზით**;
- მხარდაჭერის მექანიზმად გამოიყენება **ონლაინ ავთენტური ხელმოწერები**, რაც უზრუნველყოფს:
  - პროცესის გამჭვირვალობას;
  - მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობას;
  - პოლიტიკური მანიპულაციების მინიმიზაციას.

## ანტიკრიზისული გეგმის სტრუქტურა

წინამდებარე ანტიკრიზისული გეგმა შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისგან:

1. **საკონსტიტუციო ცვლილებები** - ძალაუფლების რეალური ბალანსისა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად
2. **ევროკავშირის 9 რეკომენდაციის შესრულება** - როგორც დემოკრატიული ტრანზიციის საგზაო რუკა
3. **მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში** - როგორც სისტემური დემოკრატიზაციის საფუძველი

# საკონსტიტუციო ცვლილებების ძირითადი მიმართულებები

დოკუმენტი განსაზღვრავს საკონსტიტუციო ცვლილებების ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს ანტიკრიზისული გარდამავალი მთავრობის პერიოდში. დოკუმენტის მიზანია ქვეყნის პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაცია, ძალაუფლების კონცენტრაციის პრევენცია და ისეთი კონსტიტუციური ჩარჩოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიულ მმართველობას, ინსტიტუციურ ბალანსს და მოქალაქეთა რეალურ წარმომადგენლობას.

ხედვა ეფუძნება სახალხო ნებას, დემოკრატიული ლეგიტიმაციის აღდგენას და კონსტიტუციას როგორც არა ძალაუფლების ინსტრუმენტს, არამედ **საზოგადოებრივ შეთანხმებას**, რომელიც სახელმწიფოს იცავს სისტემური კრიზისებისგან.

## 1. კონტექსტი და გამოწვევები

საქართველოს კონსტიტუციურმა განვითარებამ ბოლო ათწლეულებში ვერ უზრუნველყო მდგრადი დემოკრატიული მმართველობა. ხშირი და პოლიტიკურად მოტივირებული ცვლილებები, ძალაუფლების ცენტრალიზაცია და კონსტიტუციური მექანიზმების გამოყენება ვიწრო პარტიული ინტერესებისთვის გახდა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი:

- ერთპარტიული მმართველობის განმტკიცებისა;
- პარლამენტის, სასამართლოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის დასუსტებისა;
- პოლიტიკური კრიზისების განმეორებადობისა;
- მოქალაქეთა პოლიტიკური წარმომადგენლობის შემცირებისა.

არსებული ვითარება მოითხოვს **კონსტიტუციის გადახედვას არა როგორც ტექნიკურ რეფორმას**, არამედ როგორც სისტემურ დემოკრატიულ გადატვირთვას, რომელიც ქვეყანას კრიზისიდან უსაფრთხოდ გამოიყვანს და მომავალში კრიზისების პრევენციის მექანიზმებს შექმნის.

## 2. სტრატეგიული მიზნები

ანტიკრიზისული გარდამავალი მთავრობის ამოცანაა ისეთი კონსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომელიც:

- გამორიცხავს ძალაუფლების მითაცების შესაძლებლობას;
- უზრუნველყოფს ხელისუფლების შტოებს შორის რეალურ ბალანსს;
- ზრდის მოქალაქეთა წარმომადგენლობასა და მონაწილეობას;
- აძლიერებს ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას;
- ქმნის სტაბილურ საფუძველს შემდგომი დემოკრატიული მმართველობისთვის, პარტიული კონიუნქტურის მიუხედავად.

### 3. საკონსტიტუციო ცვლილებების ძირითადი პრინციპები

#### 3.1. სახელმწიფო მმართველობის ფორმა და პარლამენტის როლი

საკონსტიტუციო ცვლილებები მიზნად ისახავს ერთპარტიული მმართველობის დასრულებას და პარლამენტის, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანოს, გაძლიერებას.

- **მმართველობის სისტემა:** შერეული ტიპის რესპუბლიკა, სადაც პარლამენტს აქვს ძლიერი როლი, თუმცა მოქმედებს ეფექტიანი შემაკავებელი და გამანონასწორებელი მექანიზმები.
- **საპარლამენტო არჩევნები:** სრულად პროპორციული სისტემა დაბალი საარჩევნო ბარიერით (ბუნებრივი ან მაქსიმუმ 3–5%), მრავალპარტიული წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად.
- **საკანონმდებლო გარანტიები:** ორგანული და კონსტიტუციური კანონების მიღება და შეცვლა მოითხოვს კვალიფიციურ უმრავლესობას (მაგ. 3/5 ან 2/3).
- **ოპოზიციის უფლებები:** ოპოზიციას აქვს საგამოძიებო კომისიების შექმნისა და მაკონტროლებელი ფუნქციების განხორციელების უფლება უმრავლესობის თანხმობის გარეშე.

#### 3.2. პრეზიდენტის ინსტიტუტი

პრეზიდენტის ინსტიტუტი განისაზღვრება როგორც მაღალი ლეგიტიმაციის მქონე, პოლიტიკური პროცესებისგან დისტანცირებული „ეროვნული არბიტრი“.

- **არჩევის წესი:** პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი, საყოველთაო არჩევნებით.
- **უფლებამოსილება:**
  - არ მონაწილეობს აღმასრულებელი ხელისუფლების ყოველდღიურ მართვაში;
  - ფლობს კრიზისების პრევენციისა და კონსტიტუციური ბალანსის დაცვის მექანიზმებს;
  - აქვს რეალური ვეტოს უფლება, რომლის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ გაზრდილი კვორუმით.

#### 3.3. ტერიტორიული მონყობა და ადგილობრივი თვითმმართველობა

საკონსტიტუციო რეფორმის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტია დეცენტრალიზაცია და სუბსიდიარობის პრინციპის განმტკიცება.

- **სახელმწიფო მოდელი:** დეცენტრალიზებული სახელმწიფო.

- **ადმინისტრაციული მმართველობა:** გუბერნატორების/რწმუნებულების ინსტიტუტის გაუქმება ან მათი გავლენის მინიმუმამდე დაყვანა.
- **ფინანსური დამოუკიდებლობა:** მუნიციპალიტეტებს რჩებათ ადგილობრივი გადასახადების მნიშვნელოვანი ნაწილი და სრული ავტონომია ბიუჯეტის მართვაში.
- **ბუნებრივი რესურსები:** ადგილობრივი მოსახლეობის სავალდებულო ჩართულობა და სარგებლის მიღება ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას.

### 3.4. მართლმსაჯულების სისტემა და პროკურატურა

კონსტიტუციური ცვლილებების მიზანია სასამართლო და პროკურატურა გათავისუფლდეს პოლიტიკური გავლენისგან.

- **მოსამართლეთა დანიშვნა:** ეფუძნება პროფესიულ კრიტერიუმებსა და კეთილსინდისიერებას.
- **ნაფიც მსაჯულთა სისტემა:** ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი საქმეების სფეროს გაფართოება.
- **პროკურატურა:** გენერალური პროკურორის არჩევა ხდება მრავალსაფეხურიანი პროცედურით და კვალიფიციური უმრავლესობით.

### 3.5. კონსტიტუციის სტაბილურობა და ცვლილებების მექანიზმი

კონსტიტუცია განიხილება როგორც სტაბილური და გრძელვადიანი დოკუმენტი, რომელიც დაცულია პოლიტიკური ცვალებადობისგან.

- **ცვლილებების მექანიზმი:** საკონსტიტუციო ცვლილებები საჭიროებს ორმაგ ლეგიტიმაციას, მაგალითად:
  - ორი მოწვევის პარლამენტის თანხმობას; ან
  - პარლამენტის გადაწყვეტილებას და სავალდებულო რეფერენდუმს.

## 4. განხორციელება

ანტიკრიზისული გარდამავალი მთავრობის პერიოდში საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესი ეფუძნება:

- ფართო საზოგადოებრივ ჩართულობასა და კონსენსუსს;
- ექსპერტულ, მიუკერძოებელ და გამჭვირვალე მუშაობას;
- ეტაპობრივ და დროში განწერილ პროცესს;
- საბოლოო დოკუმენტის მიღებას რეფერენდუმის გზით.

# საინფორმაციო უსაფრთხოება, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა და დემოკრატიული მედეგობა

დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს საინფორმაციო უსაფრთხოების, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და დემოკრატიული მედეგობის გაძლიერების ძირითად მიმართულებებს ანტიკორუპციული გარდამავალი მთავრობის პერიოდში. დოკუმენტის მიზანია ჰიბრიდული საფრთხეების შემცირება, დემოკრატიული პროცესების დაცვა და სახელმწიფოს ინსტიტუციური და საზოგადოებრივი მდგრადობის გაძლიერება.

ხედვა ეფუძნება საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის აუცილებლობას, დემოკრატიული წესრიგისა და გამოხატვის თავისუფლების პატივისცემას და იმ პრინციპს, რომ საინფორმაციო უსაფრთხოება ვერ მიიღწევა ავტორიტარული ან არაპროპორციული ჩარევით, არამედ სამართლებრივი სახელმწიფოს, ინსტიტუციური გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის გზით.

## 1. კონტექსტი და გამოწვევები

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება თანამედროვე პირობებში აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო საფრთხეებით. ოკუპაციის, რეგიონული არასტაბილურობისა და გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე ქვეყანა დგას ჰიბრიდული საფრთხეების წინაშე, რომელთა ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია დეზინფორმაცია, საინფორმაციო მანიპულაცია და უცხო სახელმწიფოების გავლენის ოპერაციები.

ჰიბრიდული ზეწოლა მიზნად ისახავს:

- დემოკრატიული პროცესების დისკრედიტაციას;
- არჩევნების ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენებას;
- ინსტიტუციური ნდობის ეროზიას;
- საზოგადოების პოლარიზაციასა და ფრაგმენტაციას.

### 1.1. ისტორიული გამოცდილება

საქართველოს ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ დეზინფორმაცია და საინფორმაციო მანიპულაცია ტრადიციულად წარმოადგენდა გარე ძალების მიერ ქვეყნის წინააღმდეგ გამოყენებულ ინსტრუმენტს. საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში საინფორმაციო პოლიტიკა სისტემურად გამოიყენებოდა:

- დამოუკიდებლობის იდეის დისკრედიტაციისთვის;
- პოლიტიკური რეპრესიების ლეგიტიმაციისთვის;
- დასავლური ღირებულებების მტრულ ნარატივად წარმოსაჩენად.



1921–1924 წლებში საინფორმაციო ზეწოლა იყო ოკუპაციისა და ძალადობრივი კონსოლიდაციის განუყოფელი ნაწილი. ეს გამოცდილება დღესაც აისახება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოყენებულ ნარატივებსა და ჰიბრიდულ მეთოდებში.

## 1.2. თანამედროვე ჰიბრიდული საფრთხეები

თანამედროვე დეზინფორმაცია ხასიათდება:

- კოორდინირებული და ტრანსნაციონალური ქსელებით;
- სოციალური მედიის ალგორითმული გაძლიერებით;
- ხელოვნური ინტელექტით გენერირებული კონტენტით;
- უცხო სახელმწიფო აქტორების ფარული ან არაპირდაპირი მონაწილეობით.

აღნიშნული ტენდენციები მნიშვნელოვნად ზრდის საინფორმაციო სივრცის მანიპულაციის რისკებს და მოითხოვს სისტემურ, ინსტიტუციურად გამყარებულ პასუხს.

## 2. სტრატეგიული მიზნები

ანტიკრიზისული გარდამავალი მთავრობის მიზანია ისეთი საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომელიც:

- იცავს სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და ეროვნულ უსაფრთხოებას;
- უზრუნველყოფს დემოკრატიული წესრიგისა და გამობატვის თავისუფლების დაცვას;
- ზღუდავს უცხოურ მავნე ზეგავლენას სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებში;
- აძლიერებს საზოგადოების კრიტიკულ აზროვნებასა და მედეგობას;
- ქმნის მდგრად ინსტიტუციურ ჩარჩოს შემდგომი მთავრობებისთვის.

## 3. საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

### 3.1. სუვერენიტეტისა და ეროვნული უსაფრთხოების დაცვა

დეზინფორმაციასთან ბრძოლა განიხილება როგორც ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს დამოუკიდებელ მოქმედებას კრიზისულ გარემოში და ამცირებს გარე ზემოქმედების შესაძლებლობებს.

### **3.2. დემოკრატიული წესრიგისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა**

ანტიკრიზისული პოლიტიკა ეფუძნება პრინციპს, რომ დემოკრატიული უსაფრთხოება ვერ მიიღწევა ცენზურით ან თვითნებური შეზღუდვებით. გამოხატვის თავისუფლება და მედიის დამოუკიდებლობა რჩება ლეგიტიმური მმართველობის საფუძვლად.

### **3.3. უცხოური მავნე ზეგავლენის შეკავება სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებში**

უცხო ჩარევის წინააღმდეგ მიმართული ზომები ხორციელდება მკაფიო სამართლებრივი საფუძვლებით, პროპორციულობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის პირობებში, რაც ამცირებს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკებს.

### **3.4. საზოგადოებრივი მედეგობის გაძლიერება**

საინფორმაციო უსაფრთხოება განიხილება არა მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების, არამედ საზოგადოების საერთო პასუხისმგებლობად, რომლის საფუძველია განათლება, კრიტიკული აზროვნება და მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა.

## **4. სტრატეგიული მიმართულებები**

### **4.1. სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო**

ანტიკრიზისული ეტაპის ფარგლებში ყალიბდება კოორდინირებული და ფარული გარე ზემოქმედების წინააღმდეგ სამართლებრივი და ინსტიტუციური რეაგირების ჩარჩო, რომელიც:

- განსაზღვრავს პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას;
- უზრუნველყოფს უფლებამოსილებების კანონიერ განხორციელებას;
- ქმნის ადრეული იდენტიფიკაციისა და რეაგირების მექანიზმებს.

### **4.2. უწყებათაშორისი კოორდინაცია**

ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრალურ მექანიზმად განიხილება:

- ჰიბრიდული საფრთხეების ეროვნული საკოორდინაციო საბჭო;
- სტრატეგიული კომუნიკაციის ერთიანი ჩარჩო;
- ევროკავშირისა და ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობა.

ეს უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას, ერთიან საფრთხეთა შეფასებას და საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ინტეგრაციას კოლექტიური უსაფრთხოების ფართო ჩარჩოში.

### 4.3. საინფორმაციო გარემო და მედია

საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება:

- ციფრულ პლატფორმებთან თანარეგულირებად თანამშრომლობას;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკისგან გათავისუფლებას;
- დამოუკიდებელი ფაქტჩეკინგის მხარდაჭერას.

აღნიშნული მიდგომა აძლიერებს მედიის სანდოობას, ამცირებს დეზინფორმაციის გავრცელებას და იცავს გამოხატვის თავისუფლებას.

### 4.4. განათლება და საზოგადოებრივი მედეგობა

დემოკრატიული მედეგობის გრძელვადიანი საფუძველი არის:

- მედია წიგნიერების ინტეგრაცია განათლების სისტემაში;
- ახალგაზრდობისა და დიასპორის მიზნობრივი პროგრამები;
- კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში.

ეს ზომები მოქალაქეს აყალიბებს არა ინფორმაციის პასიურ მომხმარებლად, არამედ უსაფრთხოების პოლიტიკის აქტიურ მონაწილედ.

## 5. განხორციელება

ანტიკორუპციული გარდამავალი მთავრობის პერიოდში პოლიტიკის განხორციელება ეფუძნება:

- მკაფიო პრიორიტეტებსა და ეტაპობრივ ქმედებებს;
- ინსტიტუციურ კოორდინაციას;
- საერთაშორისო პარტნიორებთან რეგულარულ თანამშრომლობას;
- გამჭვირვალობასა და საზოგადოებრივ ანგარიშვალდებულებას.

# საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს ანტიკრიზისული გარდამავალი მთავრობის პერიოდში. დოკუმენტის მიზანია ქვეყნის სუვერენიტეტის, უსაფრთხოების და საერთაშორისო პოზიციის სტაბილიზაცია, გეოპოლიტიკური რისკების შემცირება და საქართველოს საერთაშორისო პარტნიორობთან ნდობის აღდგენა.

ხედვა ეფუძნება სახალხო ნებას და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან სრულ თანხვედრაშია.

## 1. კონტექსტი და გამოწვევები

საქართველო იმყოფება რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში - რეგიონული არასტაბილურობა, რუსეთის მხრიდან მუდმივი უსაფრთხოების გამოწვევები და შიდა პოლიტიკური კრიზისი. არსებული ვითარება მოითხოვს მკაფიო და რეალისტურ საგარეო და უსაფრთხოების სტრატეგიას, რომელიც უზრუნველყოფს:

- ქვეყნის როლის ხელახლა განსაზღვრას საერთაშორისო სისტემაში
- მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
- სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვას;
- საერთაშორისო პარტნიორობთან ურთიერთობების აღდგენასა და გაღრმავებას;
- ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის რელევანტური უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება

## 2. სტრატეგიული მიზნები

ანტიკრიზისული გარდამავალი მთავრობის მთავარი ამოცანა არის საგარეო, უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში იმ ფუნდამენტური პრინციპების მიღება და უსაფრთხოების ისეთი ინსტიტუციური სისტემის შექმნა რომელიც შესაძლებელი გახდება სტრატეგიული მიზნებისა და ეროვნული ინტერესების მიღწევა, მათ შორის შემდგომი მთავრობების მიერ.

### **3. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები**

#### **3.1. ევროპული უსაფრთხოების და ეკონომიკური სივრცის ნაწილად ქცევა**

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრაცია ევროპული უსაფრთხოების და ეკონომიკურ სივრცეში. ეს გულისხმობს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის აღდგენასა და გაღრმავებას, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან თავსებადი კურსის გატარებას და თანამშრომლობის მექანიზმების (მათ შორის ნატოს) გაძლიერებას, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას, ეკონომიკურ მდგრადობას და გრძელვადიან განვითარებას.

#### **3.2. სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ინტეგრაციის, სტაბილურობის და თანამშრომლობის გაღრმავება**

საქართველო საკუთარ როლს ხედავს სამხრეთ კავკასიაში როგორც რეგიონალური ინტეგრაციისა და სტაბილურობის ხელშემწყობ ძალას. საგარეო პოლიტიკა მიმართულია მეზობელ ქვეყნებთან პოლიტიკური დიალოგის, ეკონომიკური კავშირების და თანამშრომლობის მექანიზმების გაძლიერებისკენ, რაც ამცირებს კონფლიქტების რისკებს და აძლიერებს რეგიონის საერთო უსაფრთხოებასა და განვითარებას.

#### **3.3. ძლიერი ორმხრივი კავშირების და, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიული თანამშრომლობისა და ალიანსების პოლიტიკა**

საქართველოს საგარეო პოლიტიკა ეფუძნება ძლიერ ორმხრივ ურთიერთობებს ძირითად საერთაშორისო პარტნიორებთან და, საჭიროების შემთხვევაში, სტრატეგიული თანამშრომლობისა და ალიანსების ჩამოყალიბებას. ეს მიდგომა ემსახურება ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებას, საერთაშორისო მხარდაჭერის კონსოლიდაციას და მოქნილ რეაგირებას ცვალებად გეოპოლიტიკურ გარემოში.

#### **3.4. მშვიდობიანი და ჩაურევლობის პოლიტიკის პრიორიტეტი და საერთაშორისო სამართლის (სამართლიანობის) მნიშვნელობის აღიარება**

საქართველო მკაფიოდ აცხადებს მშვიდობიანი და ჩაურევლობის პოლიტიკის პრიორიტეტს და უარს ამბობს საკუთარი ტერიტორიის გამოყენებაზე როგორც სამხედრო დაპირისპირების ან გეოპოლიტიკური კონფლიქტების პლატფორმა. ეს მიდგომა სრულად ეფუძნება საერთაშორისო სამართლის, სამართლიანობის, სუვერენული თანასწორობისა და ძალის არგამოყენების პრინციპებს, და ხორციელდება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის პირობებში.

### **3.5. საგარეო და უსაფრთხოების (თავდაცვის) პოლიტიკის განხორციელებისთვის ქვეყნის შიდა პოტენციალის და რესურსის მაქსიმალური განვითარება**

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ეფექტიანობა დამოკიდებულია ქვეყნის შიდა პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებაზე. პრიორიტეტია თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება, ინსტიტუციური მდგრადობის ამაღლება, ეკონომიკური რესურსების განვითარება და ადამიანის კაპიტალის გაძლიერება, რაც ზრდის სახელმწიფოს დამოუკიდებელ მოქმედების შესაძლებლობებს.

### **3.6. რბილი ძალის მექანიზმების და დიასპორული ჩართულობის განვითარება**

საქართველოს საერთაშორისო პოზიციონირების მნიშვნელოვანი კომპონენტია რბილი ძალის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს დემოკრატიული იმიჯის გაძლიერებას, კულტურული და საგანმანათლებლო დიპლომატიის განვითარებას და დიასპორის აქტიურ ჩართულობას. დიასპორა აღიქმება როგორც სტრატეგიული რესურსი, რომლის ცოდნა, გამოცდილება და ქსელები ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს ემსახურება.

## **4. განხორციელება**

ანტიკრიზისული მთავრობის პერიოდში პოლიტიკის განხორციელება ეფუძნება:

- მკაფიო პრიორიტეტებსა და დროში განწერილ ქმედებებს;
- ინსტიტუციურ კოორდინაციას საგარეო, თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრუქტურებს შორის;
- საერთაშორისო პარტნიორებთან რეგულარულ კონსულტაციებს;
- გამჭვირვალობას და საზოგადოებრივ ანგარიშვალდებულებას.

# მართლმსაჯულებისა და პროკურატურის სისტემის რეფორმა

ანტიკრიზისული გარდამავალი მთავრობისთვის

დოკუმენტი განსაზღვრავს მართლმსაჯულებისა და პროკურატურის სისტემის რეფორმის ძირითად მიმართულებებს ანტიკრიზისული გარდამავალი მთავრობის პერიოდში. დოკუმენტის მიზანია სასამართლოსა და პროკურატურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის აღდგენა, პოლიტიკური და არაფორმალური გავლენების აღმოფხვრა, საზოგადოების ნდობის გაძლიერება და სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფა.

ხედვა ეფუძნება პრინციპს, რომ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულება წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტს და მისი რეალური რეფორმა შესაძლებელია მხოლოდ დროებითი, არაპარტიული და ექსპერტებზე დაფუძნებული მმართველობის პირობებში.

## 1. კონტექსტი და გამოწვევები

### 1.1. სასამართლო სისტემის ძირითადი პრობლემები

საქართველოს სასამართლო სისტემა ხასიათდება ინსტიტუციური სისუსტეებით, რაც უკავშირდება:

- დამოუკიდებლობის ნაკლებობას;
- გავლენიან ჯგუფებზე და არაფორმალურ მმართველობაზე დამოკიდებულებას;
- საზოგადოების ნდობის სისტემურ დეფიციტს.

მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშნულების არსებული მოდელი ვერ უზრუნველყოფს პროფესიონალიზმისა და მიუკერძოებლობის დაცვას. გადაწყვეტილებების მიღებაზე ხშირად ახდენს გავლენას პოლიტიკური ან არაფორმალური ინტერესები, რაც აზიანებს როგორც სამართლებრივი პროცესების ხარისხს, ისე სისტემის ლეგიტიმაციას.

დამატებით პრობლემებს წარმოადგენს:

- მოსამართლეთა რესურსული დეფიციტი;
- საქმეთა განხილვის გაჭიანურება;
- გადაწყვეტილებების არასაკმარისი დასაბუთება;
- სასამართლო სისტემის დახურული ხასიათი.

## 1.2. დისციპლინური და მართვის მექანიზმები

დისციპლინური პასუხისმგებლობის არსებული მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს რეალურ ანგარიშვალდებულებას და ხშირ შემთხვევაში აღიქმება როგორც ზემოქმედების ინსტრუმენტი. სასამართლოს მართვის მოქმედი მოდელი აძლიერებს შიდა კონტროლისა და გავლენის შესაძლებლობებს კოლეგიური და დამოუკიდებელი მმართველობის ხარჯზე.

## 1.3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო

იუსტიციის უმაღლესი საბჭო ფართოდ აღიქმება როგორც სუსტი ლეგიტიმაციის მქონე ორგანო, რომელსაც აკლია:

- გამჭვირვალობა;
- ეფექტიანი კონტროლი;
- საზოგადოებრივი ნდობა.

საბჭოს ფორმირების, ფუნქციონირებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესი საჭიროებს ფუნდამენტურ გადახედვას.

## 1.4. სასამართლო სისტემის ღიაობა

სასამართლო პროცესების საჯაროობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, რაც:

- ამცირებს საზოგადოებრივ კონტროლს;
- აზიანებს გამჭვირვალობას;
- აძლიერებს უნდობლობას მართლმსაჯულების მიმართ.

## 1.5. პროკურატურის სისტემის ძირითადი პრობლემები

პროკურატურის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სრულ ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას და ხასიათდება:

- მაღალი ცენტრალიზაციით;
- გადაწყვეტილებების კონცენტრაციით ზედა რგოლებში;
- შიდა პროფესიული ავტონომიის შეზღუდვით;
- პოლიტიკური გავლენის გაზრდილი რისკებით.

## 2. სტრატეგიული მიზნები

ანტიკრიზისული გარდამავალი მთავრობის მიზანია ისეთი მართლმსაჯულებისა და პროკურატურის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც:

- დამოუკიდებელია პოლიტიკური და არაფორმალური გავლენებისგან;
- ეფუძნება პროფესიონალიზმსა და კეთილსინდისიერებას;



- უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას;
- აღადგენს საზოგადოების ნდობას;
- ქმნის მდგრად ინსტიტუციურ საფუძველს შემდგომი მთავრობებისთვის.

### 3. რეფორმის ძირითადი მიმართულებები

#### 3.1. სისტემური პასუხისმგებლობა და ვეტინგი

- დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც შეისწავლის სასამართლოში არსებულ სისტემურ კორუფციასა და კლანურ მმართველობას;
- იმ მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივი, დისციპლინური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა, რომლებმაც ჩაიდინეს თანამდებობის ბოროტად გამოყენება ან კორუფციული დანაშაულები;
- ყველა ინსტანციის მოსამართლეთა ვეტინგის განხორციელება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.

#### 3.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა

- საკონსტიტუციო ცვლილებების შემთხვევაში — მოსამართლე და არამოსამართლე წევრების თანაბარი წარმომადგენლობა;
- კონსტიტუციური ცვლილებების შეუძლებლობის შემთხვევაში — არამოსამართლე წევრების რაოდენობის დაბრუნება 2024 წლამდე არსებულ ნიშნულზე;
- მოსამართლე კანდიდატების წარდგენა პრინციპით, whereby 40–50 მოსამართლეს აქვს ერთი კანდიდატის დასახელების უფლება;
- საბჭოს წევრობის კანდიდატების წინასწარი ვეტინგი;
- საბჭოს ლეგიტიმაციისა და საზოგადოებრივი ნდობის აღდგენა.

#### 3.3. მოსამართლეთა დანიშვნისა და შერჩევის სისტემა

- იუსტიციის უმაღლესი სკოლის სავალდებულო მოთხოვნის გაუქმება მინიმუმ 10-წლიანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ადვოკატებისთვის;
- დამოუკიდებელი კომისიის მიერ მოსამართლეობის კანდიდატების პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების წინასწარი შეფასება;
- მოსამართლეთა შერჩევა არაპირდაპირი არჩევნების გზით, მკაფიო კრიტერიუმების საფუძველზე;
- მოსამართლეთა რაოდენობის ზრდა საქმეთა გაზრდილი ნაკადის შესაბამისად.

#### 3.4. დისციპლინური პასუხისმგებლობა

- დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის აღდგენა;
- დისციპლინური სხდომების საჭაროობა;

- დაზარალებული მხარის პროცესში მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფა.

### **3.5. სასამართლოს მართვის მოდელი**

- სასამართლოს თავმჯდომარის ინსტიტუტის გაუქმება;
- სასამართლოს მართვის გადაცემა მოსამართლეთა სათათბირო საბჭოსთვის;
- ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება პროფესიონალი სასამართლოს მენეჯერის მიერ;
- პალატებისა და კოლეგიების თავმჯდომარეების ყოველწლიური როტაცია.

### **3.6. სასამართლოს ღიაობა და გამჭვირვალობა**

- მედიისთვის სასამართლო სხდომების აუდიო-ვიდეო ჩანერის უფლების აღდგენა;
- სხდომების დახურვის საფუძვლების მკაცრი შეზღუდვა;
- საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების გაძლიერება.

### **3.7. მოსამართლეთა მივლინების სისტემა**

- მოსამართლის ერთი სასამართლოდან მეორეში მივლინება მხოლოდ მისი თანხმობით ან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

## **4. პროკურატურის სისტემის რეფორმა**

### **4.1. ანგარიშვალდებულება და ვეტინგი**

- საგამოძიებო კომისიის შექმნა პროკურატურაში პოლიტიკური გავლენებისა და კორუფციის შესასწავლად;
- პოლიტიკურად მგრძნობიარე საქმეებში მონაწილე პროკურორების ვეტინგი საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.

### **4.2. დანიშვნის პროცედურები**

- გენერალური პროკურორის დანიშვნა პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობით, პოლიტიკური მონოპოლიზაციის თავიდან ასაცილებლად.

### **4.3. პროკურატურის დამოუკიდებლობის გაძლიერება**

- საპროკურორო საბჭოში საზოგადოებრივი წარმომადგენლობისა და ოპოზიციის კვოტის გაზრდა;
- საბჭოს მანდატის გაფართოება გენერალური პროკურორის მიმართ კონტროლის გასაძლიერებლად;

- პროკურატურის ავტონომიური სტატუსისა და შიდა რეგულაციების გამჭვირვალობის განმტკიცება.

## 5. განხორციელება

ანტიკრიზისული გარდამავალი მთავრობის პერიოდში რეფორმის განხორციელება ეფუძნება:

- ეტაპობრივ და მკაფიოდ გაწერილ ქმედებებს;
- საერთაშორისო პარტნიორებისა და ექსპერტების ჩართულობას;
- გამჭვირვალობასა და საზოგადოებრივ ანგარიშვალდებულებას;
- დროებითი მანდატის მკაცრ დაცვას.

# ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერება

## 1. კონტექსტი და ძირითადი გამოწვევები

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში ვერ უზრუნველყოფს მაღალი დონის კორუფციის ეფექტიან პრევენციასა და გამოვლენას. პრობლემის ძირითადი მიზეზებია ანტიკორუფციული ორგანოების არასაკმარისი დამოუკიდებლობა, შეზღუდული უფლებამოსილებები და საზოგადოებრივი ნდობის დეფიციტი.

ვენეციის კომისიის შეფასებით (CDL-AD(2023)046), ანტიკორუფციული ბიუროს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ადმინისტრაციული ინტეგრაცია მნიშვნელოვნად აზიანებს როგორც მისი დამოუკიდებლობის აღქმას, ისე რეალურ ავტონომიას, რაც განსაკუთრებით პრობლემურია პოლიტიკურად მგრძობიარე საქმეების კონტექსტში.

## 2. ანტიკორუფციული ბიუროს ინსტიტუციური სტატუსი და დამოუკიდებლობა

ანტიკორუფციული ბიურო უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ინსტიტუციურად განცალკევებული დამოუკიდებელი ორგანო, მკაფიო სამართლებრივი გარანტიებით. მისი ფუნქციონირება არ უნდა იყოს დამოკიდებული მთავრობის ადმინისტრაციულ სტრუქტურებზე, ბიუჯეტურ დისკრეციასა თუ იერარქიულ კონტროლზე.

ბიუროს დამოუკიდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს:

- სამართლებრივად დაცულ მანდატს;
- ოპერატიულ ავტონომიას;
- პოლიტიკურად ნეიტრალურ გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

## 3. უფლებამოსილებები და ფუნქციური ჩარჩო

ანტიკორუფციული ბიუროს მანდატი უნდა აერთიანებდეს როგორც **პრევენციულ**, ისე **რეაგირების** კომპონენტებს. მხოლოდ პოლიტიკის კოორდინაციასა და ფორმალურ ზედამხედველობაზე ორიენტირებული ინსტიტუცია ვერ უზრუნველყოფს მაღალი დონის კორუფციის ეფექტიან დაძლევას.

ბიუროს ძირითადი ფუნქციები უნდა მოიცავდეს:

- ქონებრივი და ინტერესთა დეკლარაციების შინაარსობრივ შემოწმებას;
- უკანონო გამდიდრების რისკების ანალიტიკურ იდენტიფიცირებას;

- პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების ზედამხედველობას;
- მაღალი რისკის მქონე სფეროების სისტემურ ანალიზს.

## 4. ქონებრივი დეკლარაციები და პოლიტიკური ფინანსები

ქონებრივი დეკლარაციების სისტემა უნდა გასცდეს ფორმალურ შესაბამისობის შემოწმებას და მოიცავდეს მონაცემთა შინაარსობრივ ანალიზს, მათ შორის:

- კანონიერ შემოსავლებთან შედარებას;
- აქტივების დინამიკის შეფასებას;
- შესაძლო უკანონო გამდიდრების ინდიკატორების გამოვლენას.

ამისთვის ბიუროს უნდა ჰქონდეს:

- სრულფასოვანი წვდომა შესაბამის მონაცემებზე;
- გამოვლენილი დარღვევების საგამოძიებო ორგანოებისთვის სავალდებულო გადაგზავნის მექანიზმი.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის პირობებში, ეფექტიანი აუდიტორული უფლებამოსილებებითა და პროპორციული სანქციების გამოყენების შესაძლებლობით.

## 5. ხელმძღვანელობის დანიშვნა და გარანტიები

ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი უნდა ინიშნებოდეს პარლამენტის მიერ **კვალიფიციური უმრავლესობით**, ფართო პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე.

ხელმძღვანელის:

- დანიშვნა უნდა იყოს მხოლოდ ერთჯერადი ვადით;
- ვადამდე გათავისუფლება დასაშვები იყოს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული საფუძველებით და სასამართლო კონტროლის პირობებში.

პოლიტიკურად მოტივირებული ზეწოლის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ფუნქციური იმუნიტეტი როგორც ხელმძღვანელისთვის, ისე წამყვანი თანამდებობის პირებისთვის.

## 6. საგამოძიებო კომპონენტი და კოორდინაცია

ანტიკორუფციულ ბიუროს უნდა ჰქონდეს სავალდებულო მექანიზმები საგამოძიებო ორგანოების ჩასართავად. პროკურატურა ვალდებული უნდა იყოს ბიუროს რეფერალებზე დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაზე.

მიზანშეწონილია ბიუროსთვის შეზღუდული საგამოძიებო უფლებამოსილებების მინიჭება კონკრეტულ, მაღალი რისკის სფეროებში, რაც გაზრდის რეაგირების ეფექტიანობას.

## 7. ანგარიშვალდებულება და საზოგადოებრივი ჩართულობა

ანტიკორუფციული ბიუროს უნდა იყოს ანგარიშვალდებული პარლამენტის წინაშე რეგულარული და გამჭვირვალე ანგარიშგების გზით. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ბიუროს ან მისი სტრუქტურების დაქვემდებარება დაუშვებელია.

უპირატესია ისეთი მოდელი, სადაც ბიურო თავად ქმნის **საკონსულტაციო საბჭოს** სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიური წრეებისა და პროფესიული ჯგუფების მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს კონსულტაციასა და კოორდინაციას იერარქიული კონტროლის გარეშე.

## 8. გამჭვირვალობა და მონაცემთა დაცვა

ბიუროს საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს გამჭვირვალობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ბალანსს. ინფორმაციის საჯაროობა დასაშვებია მხოლოდ კანონიერებისა და პროპორციულობის მკაცრი დაცვით, რათა არ დაზიანდეს ინსტიტუციის ლეგიტიმაცია და ნდობა.

## 9. სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახური (სსს) და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური (პმდს) უნდა ფუნქციონირებდნენ როგორც რეალურად დამოუკიდებელი, ომბუდსმენის ტიპის ინსტიტუციები, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლის უზენაესობის უზრუნველყოფის მიზნით.

მათი ინსტიტუციური მოდელი უნდა ეფუძნებოდეს:

- ხელმძღვანელთა შერჩევისა და გათავისუფლების მკაფიო წესებს;
- უფლებამოსილების სტაბილურ ვადებს;
- ფუნქციურ იმუნიტეტს;

- ოპერატიულ ავტონომიას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებამ და ხელმძღვანელთა ვადამდე გათავისუფლებამ დაარღვია ინსტიტუციური უწყვეტობის პრინციპი, რაც მომავალში უნდა გამოირიცხოს.

სსს-ის ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლებელია საგამოძიებო ავტონომიის გარეშე. პროკურატურის მიერ იურისდიქციული გადაწყვეტილებების უაპელაციო ცვლილება და მაღალი თანამდებობის პირების იურისდიქციიდან გამორიცხვა აჩენს შერჩევითი მართლმსაჯულებისა და დაუსჯელობის რისკებს.

პმდს-ს უნდა მიენიჭოს შესაბამისი უფლებამოსილებები და რესურსები ფარული საგამოძიებო ღონისძიებებისა და პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ეფექტიანი ზედამხედველობისთვის.

ორივე ინსტიტუტი უნდა იყოს ანგარიშვალდებული პარლამენტის წინაშე რეგულარული და გამჭვირვალე ანგარიშგების გზით.

## 10. განხორციელება

- ვენეციის კომისიის დასკვნებზე დაფუძნებულ, მკაფიოდ განერილ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს;
- დამოუკიდებელი ტექნიკური და ექსპერტული ჯგუფების მონაწილეობას, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან ინსტიტუციური დისტანცირებით;
- პარლამენტის წინაშე რეგულარულ ანგარიშვალდებულებას და საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმებს;
- დროებითი მანდატის მკაცრ დაცვას და რეფორმების შეუქცევადობის სამართლებრივ უზრუნველყოფას.

## დეოლიგარქიზაცია

დეოლიგარქიზაცია წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული გარდამავალი პროცესის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ და ამავედროულად ყველაზე სენსიტიურ მიმართულებას. წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა სიმბიოზმა გამოიწვია სახელმწიფო ინსტიტუტების მიტაცება, კონკურენტული დემოკრატიის ფორმალიზაცია და რეგიონულ დონეზე არაფორმალური ძალაუფლების ცენტრების გაძლიერება.

ეს დოკუმენტი ასახავს დეოლიგარქიზაციის ანტიკრიზისულ ხედვას, რომელიც ეფუძნება არა კონკრეტული პირების პერსონალიზებულ დევნას, არამედ იმ სისტემური მექანიზმების დაშლას, რომლებიც ოლიგარქიული გავლენის წარმოქმნას, რეპროდუცირებასა და გამყარებას უზრუნველყოფს. დოკუმენტი განკუთვნილია დროებითი, ტექნიკური და მიუკერძოებელი მმართველობის პირობებში განსახორციელებლად და სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის, ვენეციის კომისიისა და უკრაინის გამოცდილებიდან მიღებულ სამართლებრივ გაკვეთილებთან.

## 1. პრობლემის აღწერა და სტრატეგიული კონტექსტი

### 1.1. ოლიგარქიული მოდელის თავისებურებები საქართველოში

საქართველოს რეალობაში ოლიგარქიული გავლენა არ შემოიფარგლება რამდენიმე მსხვილი ეკონომიკური აქტორით. იგი წარმოადგენს მრავალშრიან სისტემას, სადაც:

- მსხვილი და „მინი-ოლიგარქები“ ინტეგრირებულნი არიან როგორც მმართველ, ისე ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებში;
- ისინი რეგულარულად ხვდებიან პარლამენტში მაჟორიტარული სისტემით ან პარტიული სიების მეშვეობით;
- რეგიონებში ჩამოყალიბებულია ადგილობრივი ეკონომიკური ძალაუფლების ცენტრები, რომლებიც აკონტროლებენ:
  - მუნიციპალიტეტების შესყიდვებს;
  - მიწის გამოყენებასა და მშენებლობის ნებართვებს;
  - ადგილობრივ მედიას;
  - დასაქმებასა და სოციალურ დამოკიდებულებებს.

ამ მოდელის პირობებში სახელმწიფო ინსტიტუტები ხშირად მოქმედებენ კერძო ეკონომიკური ინტერესების გამტარებად, ხოლო პოლიტიკური კონკურენცია ატარებს ფორმალურ და არა რეალურ ხასიათს.



## 1.2. რატომ ვერ ახორციელებენ დეოლიგარქიზაციას პოლიტიკური პარტიები

დეოლიგარქიზაციის განხორციელება პარტიული პოლიტიკის ფარგლებში პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან:

- პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, მედია მხარდაჭერა და რეგიონული ორგანიზება დიდწილად დამოკიდებულია ოლიგარქიულ კაპიტალზე;
- ხელისუფლებისა და ოპოზიციის ცვლილება არ იწვევს გავლენის მატარებელი ეკონომიკური ჯგუფების ჩანაცვლებას;
- სასამართლო და მარეგულირებელი ორგანოები ხშირად აღმოჩნდებიან იგივე ინტერესების ზეწოლის ქვეშ.

ამ პირობებში დეოლიგარქიზაციის პასუხისმგებლობის პოლიტიკური პარტიებისთვის დაკისრება არარეალისტურია და ქმნის რეფორმის იმიტაციის რისკს.

## 1.3. უკრაინის გამოცდილება და ევროპული სამართლებრივი ჩარჩო

უკრაინის გამოცდილება ცხადყოფს, რომ დეოლიგარქიზაცია შეიძლება განვითარდეს ორი განსხვავებული გზით:

- **პერსონალური მიდგომა** — კონკრეტული პირების იდენტიფიცირება და სანქცირება;
- **სისტემური მიდგომა** — ინსტიტუციური, სამართლებრივი და საბაზრო წესების შეცვლა ისე, რომ ოლიგარქიული გავლენა ვერ წარმოიქმნას.

ვენეციის კომისიის შეფასებით, პერსონალური მიდგომის გადაჭარბება ქმნის მნიშვნელოვან საფრთხეებს ადამიანის უფლებებისთვის, სამართლის უზენაესობისთვის და დემოკრატიული მმართველობისთვის. ევროკავშირის სტანდარტით, დეოლიგარქიზაციის ბირთვი უნდა იყოს **სისტემური რეფორმები**, ხოლო პერსონალური ზომები — მხოლოდ გამონაკლისი, მკაცრი სამართლებრივი გარანტიებით.

## 2. ანტიკრიზისული სტრატეგიული ჩარჩო

### 1. დროებითი და მკაფიო მანდატი

ანტიკრიზისული გარდამავალი მთავრობის ფარგლებში უნდა ჩამოყალიბდეს:

- **24-თვიანი მმართველობის მკაფიო ვადა**, ავტომატური დასრულების მექანიზმით;
- დეოლიგარქიზაციის განსაზღვრა როგორც:
  - სახელმწიფო უსაფრთხოების,
  - დემოკრატიული მმართველობის,

- ევროკავშირში ინტეგრაციის აუცილებელი წინაპირობა.

დროებითი მანდატი ამცირებს ძალაუფლების კონცენტრაციის რისკებს და ზრდის საზოგადოებრივ ნდობას.

### **3. სისტემური დეოლიგარქიზაცია (პრიორიტეტული მიმართულება)**

#### **3.1 რეგიონული „მინი-ოლიგარქიის“ შეზღუდვა**

მუნიციპალურ დონეზე უნდა შემოღებულ იქნას:

- ინტერესთა სავალდებულო დეკლარირება არჩეული და დანიშნული პირებისთვის;
- ახლო ნათესავების ბიზნესკავშირების გამჟღავნება.

მაღალი რისკის გადაწყვეტილებები (მსხვილი შესყიდვები, მიწის ზონირება, ინფრასტრუქტურული პროექტები) დროებით უნდა გადავიდეს ცენტრალიზებულ, დამოუკიდებელ ზედამხედველობაზე.

#### **3.2 კონკურენციისა და მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლა**

უნდა განხორციელდეს სექტორული აუდიტები შემდეგ სფეროებში:

- ენერჯეტიკა;
- პორტები და ლოგისტიკა;
- სამშენებლო მასალები;
- ფარმაცია;
- სათამაშო ბიზნესი;
- აგრარული ბაზრები.

მონოპოლიური მდგომარეობის გამოვლენის შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული:

- იძულებითი დივერსიფიკაცია ან აქტივების გაყოფა;
- ექსკლუზიური ლიცენზიების გაუქმება;
- გამჭვირვალე აუქციონები საერთაშორისო ზედამხედველობით.

#### **3.3 პოლიტიკური ფინანსების კონტროლი**

უნდა აიკრძალოს პარტიების არაპირდაპირი დაფინანსება:

- ფონდების,
- ასოცირებული მედიის,
- „მესამე პირების“ კამპანიების მეშვეობით.

მედიის მფლობელობაზე უნდა დაწესდეს მკაცრი გამჭვირვალობის წესები და ერთპიროვნული პოლიტიკური დომინაციის შეზღუდვა.

### 3.4 საგადასახადო სისტემის გადახედვა

- გაუქმდეს ინდივიდუალურად მორგებული საგადასახადო შეღავათები;
- შემოღებულ იქნას დროებითი ზედმეტი მოგების გადასახადი მონოპოლიურ სექტორებში;
- მიღებული შემოსავალი მიემართოს:
  - დამოუკიდებელი მართლმსაჯულების გაძლიერებას;
  - საგამოძიებო ჟურნალისტიკის მხარდაჭერას;
  - რეგიონული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

## 4. პერსონალური ზომები - მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში

პერსონალური შეზღუდვები დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც:

1. არსებობს სასამართლოს მიერ დადასტურებული დარღვევა;
2. ამოწურულია სისტემური რეაგირების ყველა საშუალება;
3. უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება და გასაჩივრების უფლება.

დასაშვები ზომებია:

- სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობაზე შეზღუდვა;
- პრივატიზაციაში მონაწილეობის აკრძალვა;
- პოლიტიკური კონტაქტების გამჭვირვალე დეკლარირება.

## 5. განხორციელება

დეოლიგარქიზაციის განხორციელება ეფუძნება:

- დამოუკიდებელი, დროებითი და ტექნიკური მმართველობის პირობებს;
- საერთაშორისო ექსპერტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას;
- მკაფიო დროით ჩარჩოებსა და მონიტორინგის მექანიზმებს.

პროცესი უნდა იყოს ეტაპობრივი, საჯარო და სამართლებრივად დაცული, რათა თავიდან იქნას აცილებული შერჩევითი მართლმსაჯულება და პოლიტიკური ანგარიშსწორება.

# ადამიანის უფლებები

ეს დოკუმენტი ასახავს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებულ სისტემურ გამოწვევებს საქართველოში და განსაზღვრავს იმ პრიორიტეტულ ნაბიჯებს, რომლებიც აუცილებელია ანტიკრიზისული გარდამავალი მმართველობის პირობებში ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად, დემოკრატიული ინსტიტუტების აღსადგენად და საზოგადოებრივი ნდობის გასაძლიერებლად.

## 1. პრობლემის აღწერა და კონტექსტი

2024 წლის მაისის შემდეგ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა და მათი აღსრულების პრაქტიკამ შექმნა სისტემური რისკები:

- ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებებისთვის;
- დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებისთვის;
- სამართლის უზენაესობის პრინციპისთვის.

აღნიშნული ტენდენციები მკაფიო წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებთან და განსაკუთრებით — ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ 9-პუნქტიან რეკომენდაციებთან, რომელთა ერთ-ერთი ცენტრალური ღერძი ადამიანის უფლებების დაცვაა.

გარდამავალი ანტიკრიზისული მთავრობის ამოცანა არ არის მხოლოდ ფორმალური შესაბამისობის აღდგენა, არამედ ადამიანის უფლებების დაცვის **სისტემური, დეპოლიტიზებული და მდგრადი მექანიზმების** ხელახლა ამოქმედება.

## 2. პრიორიტეტული ნაბიჯები გარდამავალი ანტიკრიზისული მთავრობისთვის

### 2.1. ფუნდამენტური უფლებების შემზღუდავი საკანონმდებლო ცვლილებების გაუქმება

გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი პირველადი და გადაუდებელი ნაბიჯი უნდა იყოს 2024 წლის მაისის შემდეგ მიღებული იმ საკანონმდებლო ცვლილებების გაუქმება, რომლებიც ზღუდავს:

- შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობას;
- მედიის თავისუფლებას;
- პოლიტიკური მონაწილეობისა და თანასწორობის უფლებას.

აღნიშნული ცვლილებები ქმნის სამართლებრივ გაურკვევლობას და შერჩევითი აღსრულების საფრთხეს, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების ევროპულ სტანდარტებს. მათი გაუქმება უნდა დაერთოს:

- სამართლებრივ შეფასებას;
- ოფიციალური განმარტებების გამოქვეყნებას, რომლებიც დაადასტურებს სახელმწიფოს პოლიტიკის კურსის შეცვლას.

## **2.2. გენდერული თანასწორობა და სოციალური უფლებები**

გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული პოლიტიკა საჭიროებს სრულ შესაბამისობაში მოყვანას ევროპულ სტანდარტებთან. გარდამავალმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს:

- გენდერული თანასწორობის პრინციპის რეალური ინტეგრაცია საჯარო პოლიტიკაში;
- დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციის მექანიზმების ამოქმედება;
- საჯარო პოლიტიკის გენდერული გავლენის შეფასების პრაქტიკის აღდგენა.

გენდერული საკითხების პოლიტიზება და სტიგმატიზაცია იწვევს ადამიანის უფლებების დაცვის სისტემურ რღვევას და უნდა შეიცვალოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ინკლუზიური მიდგომით.

## **2.3. ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის მექანიზმები**

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის არსებული ჩარჩოები ხშირ შემთხვევაში დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და სუსტია მათი პრაქტიკული იმპლემენტაცია. გარდამავალ პერიოდში აუცილებელია:

- უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართულობის მექანიზმების გაძლიერება გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- განათლებაზე, ინფორმაციასა და საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- რეგიონულ დონეზე მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება.

ეს ნაბიჯები აუცილებელია სოციალური ერთიანობის, ნდობისა და პოლიტიკური სტაბილურობისთვის.

## **2.4. არასრულწლოვანთა უფლებები და დანაშაულის პრევენცია**

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ზრდა მიუთითებს პრევენციული პოლიტიკის სისუსტეზე. გარდამავალმა მთავრობამ უნდა მოახდინოს აქცენტის გადატანა პრევენციასა და რეინტეგრაციაზე და უზრუნველყოს:

- საგანმანათლებლო, სოციალური და ფსიქოსოციალური პროგრამების ამოქმედება;
- სკოლებსა და თემებზე დაფუძნებული პრევენციული ინიციატივების მხარდაჭერა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ჰუმანიზაცია.

რეპრესიული მიდგომები უნდა ჩანაცვლდეს ბავშვზე ორიენტირებული, უფლებებზე დაფუძნებული პოლიტიკით.

## **2.5. ადამიანის უფლებების შესახებ განათლება**

ადამიანის უფლებების სწავლება წარმოადგენს გრძელვადიან დემოკრატიულ ინვესტიციას, თუმცა გარდამავალ პერიოდშიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია. აუცილებელია:

- ადამიანის უფლებების სწავლების კურსის გაფართოება საშუალო სკოლებში;
- დემოკრატიული მოქალაქეობის უნარების განვითარება;
- ძალადობისა და დისკრიმინაციის პრევენცია განათლების გზით.

## **2.6. კანონმდებლობის აღსრულება და უფლებადამცველთა დაცვა**

ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მთავარი პრობლემა ხშირად არა კანონების არარსებობა, არამედ მათი სუსტი აღსრულებაა. გარდამავალმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს:

- მოქმედი კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაციის მექანიზმების ამოქმედება;
- უფლებადამცველთა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
- უფლებადამცველთა საქმიანობისთვის უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემოს შექმნა.

## **2.7. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და ინსტიტუციური გარანტიები**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების სრულფასოვანი აღსრულება წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის სისტემის ეფექტიანობის მთავარ ინდიკატორს. აუცილებელია:

- შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- პრაქტიკაში მათი ქმედითი ამოქმედება;
- მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერება.

ამასთან, სახალხო დამცველის ინსტიტუტის დამოუკიდებლობის დაცვა და მისი ეფექტიანობის ამაღლება უნდა გახდეს გარდამავალი მთავრობის ერთ-ერთი ცენტრალური პრიორიტეტი.

### 3. განხორციელება

ანტიკრიზისული გარდამავალი მთავრობის პერიოდში ადამიანის უფლებების მიმართულებით რეფორმების განხორციელება ეფუძნება:

- ევროკავშირის 9 რეკომენდაციისა და საერთაშორისო ვალდებულებების სრულ და არა-სელექციურ აღსრულებას;
- ფუნდამენტური უფლებების შემზღუდავი კანონმდებლობის გაუქმებას და პრაქტიკაში რეალურ ცვლილებებს;
- სახალხო დამცველის, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო მექანიზმების გაძლიერებულ ჩართულობას;
- გამჭვირვალე მონიტორინგსა და რეგულარულ საზოგადოებრივ ანგარიშგებას გარდამავალი მანდატის ფარგლებში.

# მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა

## 1. ზოგადი კონტექსტი

ანტიკორუპციული გარდამავალი გეგმის ერთ-ერთ ძირითად და გადამწყვეტ საყრდენს წარმოადგენს **სამოქალაქო მონაწილეობა**, როგორც დემოკრატიული მმართველობის საფუძველი, კონსტიტუციური პრინციპი და ევროკავშირთან დაახლოების პროცესის აუცილებელი პირობა.

სამოქალაქო მონაწილეობა ასახულია როგორც:

- კონსტიტუციური ცვლილებების აუცილებელ კომპონენტში;
- ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 9 რეკომენდაციის აღსრულების ცენტრალურ ელემენტში;
- დამოუკიდებელ, ცალკე მიმართულებად, რომელიც მოითხოვს არა მხოლოდ ფორმალურ ინტეგრაციას, არამედ **მექანიზმების რეალურ ამოქმედებასა და ნახალისებას**.

## 2. პრობლემის აღწერა

საქართველოს რეალობაში ათწლეულების განმავლობაში მოქალაქეები **ფაქტობრივად გათიშული იყვნენ პოლიტიკურ პროცესებსა და გადაწყვეტილებების მიღებისგან**.

- მოქალაქეთა ერთადერთი რეგულარული მონაწილეობა შემოიფარგლებოდა არჩევნებით, ოთხ წელიწადში ერთხელ;
- რეფერენდუმი და პლებისციტი პრაქტიკაში მხოლოდ 2 შემთხვევაში იქნა გამოყენებული;
- არჩევნების პროცესშიც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი სისტემურად იყო გამორიცხული - ადმინისტრაციული ბარიერების, უნდობლობისა და შერჩევითი პრაქტიკის გამო;
- ინსტიტუციური მექანიზმები მოქალაქეთა ჩართულობისთვის პრაქტიკულად არ არსებობდა.

შედეგად, ქვეყანაში **არ ჩამოყალიბდა მონაწილეობის კულტურა**, ხოლო მოქალაქეთა უმრავლესობა პოლიტიკას აღიქვამდა როგორც დახურულ, ელიტარულ პროცესს, რომელზეც გავლენა არ ჰქონდა.

ბოლო პერიოდის ფართომასშტაბიანმა საპროტესტო ტალღამ ცხადყო, რომ საზოგადოებაში არსებობს **მაღალი ჩართულობის პოტენციალი**, თუმცა ეს ჩართულობა სპონტანურია და არ არის ინსტიტუციურად გამყარებული. გარდამავალი პერიოდის ამოცანაა, ეს მუხტი **შენარჩუნდეს, გადაიქცეს სტაბილურ მექანიზმებად და აღარ დაიკარგოს**.



### 3.სამოქალაქო მონაწილეობის ინსტიტუციური გაძლიერება

გარდამავალ პერიოდში აუცილებელია სამოქალაქო მონაწილეობის არა მხოლოდ დეკლარირება, არამედ **ქმედითი და გამოყენებადი მექანიზმების დანერგვა**, რომლებიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას ყველა დონეზე — ადგილობრივიდან ეროვნულამდე.

პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ონლაინ საჯარო კონსულტაციების სისტემური დანერგვა კანონშემოქმედებით და პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში;
- ელექტრონული პეტიციების (e-petitions) რეალური სამართლებრივი ეფექტის უზრუნველყოფა, მათ შორის პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ვალდებულებით რეაგირებაზე;
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების მექანიზმების გაფართოება, როგორც ადგილობრივ, ისე სექტორულ დონეზე;
- მოქალაქეთა ინიციატივების ინსტიტუციური მხარდაჭერა და არა მხოლოდ ფორმალური მიღება.

ეს მექანიზმები უნდა ემსახურობდეს არა ერთჯერად კონსულტაციას, არამედ **გრძელვადიანი ჩართულობის კულტურის ჩამოყალიბებას**.

### 4.განხორციელება

ანტიკორუპციული გარდამავალი მთავრობის პერიოდში სამოქალაქო მონაწილეობის მიმართულებით რეფორმების განხორციელება ეფუძნება:

- კონსტიტუციურ პრინციპებსა და ევროკავშირის 9 რეკომენდაციის მოთხოვნებს;
- სამოქალაქო მონაწილეობის ცალკე, ინსტიტუციურად გამყარებულ პოლიტიკად ჩამოყალიბებას;
- ციფრული და ფიზიკური მონაწილეობის მექანიზმების რეალურ ამოქმედებას და მათი გამოყენების აქტიურ ნახალისებას;
- გამჭვირვალე პროცესებს და საზოგადოებრივ ანგარიშვალდებულებას.